რა ჩაენაცვლება პლუტოკრატიას?

ნოდარ ნათაძე, ფილ. მეც. დოქტორი, პროფესორი

ისტორიის ძირითადი პროცესების პროგნოზირებას, - სახელდობრ, ეკონომიკურის, გეოპოლიტიკურის, გეოსტრატეგიულის და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურისას სხვა მრავალთან ერთად თავისი ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური, ანუ ადამიანის ფილოსოფიურ გააზრებასა და ცოდნაზე დამყარებული ასპექტებიც აქვს. ისტორიის შემოქმედნი ადამიანები ვართ. ჩვენი უნებური ქმედებებიც, როგორც გაერთმნიშვნელოვნებული ("დაჟვანილი") ურთიერთგაუდიფერენცირებელი სტატისტიკური ერთეულებისა, მკაფიოდ შემეცნებადი მენტალური (გონებრივი) და ნებელობითი მახასიათებლების მატარებელი ერთეულების მოქმედებაა. ამიტომ მოვლენების **ახსნის** მეთოდთა პარალელურად, რომელთა იდეალი და მიდწევათა ზღვარი ისაა, რომ ყოველი მოვლენის მიზეზები და შედეგები მიგვითითოს, ისტორიულ შემეცნებაში და, კერძოდ, პროგნოზირებაშიც აუცილებელია გამოვიყენოთ **გაგების** მეთოდებიც: შევძლოთ ჩვენი ცოდნითა და წარმოსახვის ძალით იმ პატარა სტატისტიკურ ერთეულთა "ადგილზე დადგომა", ანუ მათი სულისკვეთებისა და მიზანთსახვის "შიგნიდან" დანახვა, რაც მათი აზროვნების ლოგიკასაც და მათ გრძნობასაც ჩვენთვის ხილულს გახდის. ამ უკანასკნელი გნოსეოლოგიური (შემეცნებითი) პროცედურისათვის დღესდღეობით არანაირი დამხმარე "ობიექტივისტური" ტექნიკა აზროვნებისა შექმნილი არ არის: აქ დღესდღეობით ჩვენი ჭკუისა, "ხედვისა" და ინტუიციის ამარა ვართ. თქმული ნიშნავს: ისტორიის ზემოხსენებულ ძირითად ხდომილებათა და მიმართულებათა პროგნოზირებაში, ჯერჯერობით, წინ "წმინდა აზრის", ანუ სპეკულაციის გარეშე შორს ვერ წავალთ. უფრო მეტიც: ჩვენი ე.წ. "პირველადი ხედვის", ანუ ინტუიციის, და მასზე დამყარებული სპეკულაციის, ანუ თანმიმდევარი გააზრების გზით წვდომილი მრავალი დებულებების ხარისხი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს შემდგომი სკრუპოლოზური პოზიტიური კვლევების სიღრმის, სისწორის (ამოცანათა ადექვატური დაყენების) და სიზუსტის ხარისხსაც.

ბატონობა (მოცემულ საზოგადოებაში ე.წ. "გაბატონებულ ფენად" ყოფნა) ერთ-ერთი იმ სოციალურ მოვლენათაგანია, რომელთაც ყველაზე მეტი ანთროპოლოგიური (ადამიანისთვის დამახასიათებელი და კონკრეტულ ადამიანთა ხარისხობრივად ურთიერთგანმასხვავებელი) განზომილებები (პარამეტრები) აქვთ. სოციუმში ბატონობა გულისხმობს ამ სოციუმის **მართვასაც**, მაშასადამე, ამისთვის უპირატეს უნარსაც და ამ სოციუმის სასარგებლოდ მიმართულ ნებასაც ("კეთილ ნებას"). ამასთან, იგი გულისხმობს გაბატონებულ ფენაშიც და ამ სოციუმის მასაშიც ამ მმართველი ფენის შემადგენელ ინდივიდთა **ბუნებრივი უმჯობესობის** ცნობიერებას (განცდას) ისეთ განზომილებებში, რომელთანაც მართვას პირდაპირი კავშირი არა აქვს, ანუ იმის რწმენას, რომ მასა მმართველებს ჩამორჩება, ცოტათი მაინც, იმ ღირებულებათა განსახიერებაში, რომლებიც მოცემულ საზოგადოებას საერთო აქვს. მმართველთა და მართულთა ურთიერთდამოკიდებულების იდეოლოგიაში ტრადიციულად შედის (შედიოდა) ზებუნებრივი ელემენტები: მმართველი ღვთის ცხებულია, ადრეულ საზოგადოებაში იგი ქურუმობის (ზებუნებრივ ძალებთან კონტაქტის) ხელოვნებას ფლობს და ა.შ. ცნობიერების ამ შინაარსთა მოშლა – მათში შეეჭვების ჩათვლით – სოციუმში ქმნის, ფსიქოლოგიურად, რევოლუციურ სიტუაციას, რომელიც, უნდა ვივარაუდოთ, უკლებლივ ყველა შემთხვევაში (თუ გარე ძალები არ ერევიან პროცესში) გაბატონებული ფენის ან ჯგუფის შეცვლის აუცილებელი (თუმცა არა საკმარისი) პირობაა. ამ კანონზომიერებას უხვი ემპირიული დადასტურება აქვს. დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს.

საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის ძალებია:

1. დარღვევა (ისტორიული განვითარების შედეგად) იმის ცნობიერებისა (რწმენისა), რომ მოცემული ელიტის ბატონობა და მმართველი როლი დადებითია, ამასთან – დღესაც **რეალურია** და, მაშასადამე, ეს ბატონობა სამართლიანია: აზნაური ფლობდა იარაღის ხმარების ხელოვნებას, ტაქტიკისა და სტრატეგიის ცოდნას. იგი იცავდა გლეხს, გლეხი კი ინახავდა მას. აბსოლუტური სახელმწიფოს ძლიერებამ (ძირითადად ლუი XIV-ის ხელშივე) ეს ტექნოლოგიური მიმართება შეცვალა: დაცვა დაეკისრა სახელმწიფოს. შესაბამისად, განვითარდა აზნაურობის პრივილეგიათა უსამართლობის განცდა.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

პარალელურად: შეიცვალა ძალთა მიმართება. მესამე წოდება მასითაც და ძალითაც უკვე საზოგადოების მთავარი ელემენტია. მას აქვს იმის განცდა, რომ აზნაურობის ბატონობა და პრივილეგიები ახლა დამყარებულია სახელმწიფოს მიერ შთამომავლობითი არისტოკრატიის დაცვაზე და არა ამ კლასის საკუთარ ძალაზე. ბუნებრივია, რომ ამ ფონზე იბადება ვითარების გარდაქმნის სურვილი და რომ ამ გარდაქმნის ენციკლოპედისტების მიერ მოაზრებული ზოგადი გეგმა უმიზნებს ***სახელმწიფოს***, და არა ცალკეული რეგიონის ან სოფლის ფეოდალს.

2. აქსიოლოგიური თვალსაზრისით აქ მოქმედებს ორი მთავარი ღირებულება: ***თანასწორობა*** და ***თავისუფლება***. ეს უკანასკნელი ძალაშია იმდენად, რამდენადაც დაქვემდებარება უკვე არასაჭირო აზნაურისადმი, შუა საუკუნეებისაგან განსხვავებით, განიცდება, როგორც თავისუფლების ხელყოფა. დამახასიათებელი დეტალი: 1789 წლის რევოლუციის ერთ-ერთი (მეტ-ნაკლებად შემთხვევითი, კონკრეტული ეკონომიკური კრიზისისმიერი) უშუალო საბაბი, „პატრუქი“ იყო მესამე წოდების მოთხოვნა, რომ შემოღებულ იქნას პირველი ორი წოდების დაბეგვრაც.

ამ რევოლუციის მესამე მთავარი აღიარებული ღირებულება – „ძმობა“ – პირველ ორთან შედარებით ზედაპირულია: ეს არის ადამიანთა ზოგადი, საზოგადოების კონკრეტული სტრუქტურისაგან დამოუკიდებელი ფსიქოლოგიური მოთხოვნილება, რომ განსაცდელის ჟამს, რომელიც სახეზეა, ადამიანებმა გაზარდონ ერთმანეთთან ემოციური სიახლოვისა და ურთიერთობის ხარისხი.

XIX საუკუნე II მსოფლიო ომის მომდევნო ეპოქამდე

ამ ეპოქის რევოლუციებში მანამდელი განვითარებით განპირობებული ფაქტორია პირველ ყოვლისა ის, რომ მრეწველობას და, შესაბამისად, პროლეტარიატს ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრესი სექტორი აქვს შევსებული. ფეოდალურ პრივილეგიებთან ბრძოლისა და ფეოდალური კლასის სხვა მრავალი დაუმსახურებელი უპირატესობის ხელყოფის მისწრაფებას, მეტ-ნაკლებად, უკვე ისტორიის მიერ განწირულ რუდიმენტებთან ბრძოლის ფსიქოლოგიური ჩარჩო აქვს: აქცენტი მოდის (მზარდი პროპორციით) პროლეტარიატის ბრძოლაზე კაპიტალის წინააღმდეგ. მმართველი ამოსავალი დებულებაა თანასწორობა, რომელიც ამჯერად, პირველ ყოვლისა, ***ეკონომიკურ*** თანასწორობას გულისხმობს და არა იურიდიულს. ცენტრალურია „ჩაგვრის“ ცნება და, მისგან გამომდინარე, თავისუფლების როგორც ჰუმანისტური, ასევე ეკონომიკური მოთხოვნა. ეს ასეა მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიის ყველაზე ძლიერი და გავლენიანი იდეოლოგი – მარქსი – მოძრაობას სთავაზობს ყალბ (თავისი ცალმხრივობის გამო) მოძღვრებას, რომელიც რეალობას აცდენილია არა მხოლოდ თავის პოზიტიურ ნაწილში („კომუნიზმის“ უტოპიური კონცეფციის სახით), არამედ თავის ანალიტიკურ ნაწილშიც. კერძოდ, დამატებითი ღირებულების კაპიტალისტის მიერ მიტაცების მექანიზმს რომ აღწერს, მარქსს გამორჩენილი აქვს მეცნიერულ-ტექნიკური კვალიფიცირებული შრომის რეალური როლიც საქონლის შექმნაში და ორგანიზაციული შრომის როლიც. ეს ხარვეზი მარქსიზმისა პროლეტარიატის მეომარ კლასს შეუმჩნეველი რჩება იმიტომ, რომ ამ მოძღვრების მთავარი ნაწილი (რომელიც კაპიტალიზმში გამოკვეთილია და ცენტრალურია, თუმცა ცნობილია მანამდეც) – პრინციპი „ფული ფულს შოულობს შრომის გარეშეც“ ან „შოულობს მეტს, ვიდრე ბუნებრივად ეკუთვნის“ – ცამდე მართალია. ამასთან ერთად, საწყისი ფული, რომლითაც კაპიტალისტი საქმეს იწყებს, ამ რევოლუციის ეპოქაში არც მუშას, არც მთლიანად საზოგადოებას სამართლიანად ნაშოვნად არ მიაჩნიათ (იხ. უხვი რიტორიკა პირველადი დაგროვების შესახებ) და ეს პრინციპულად ანსხვავებს, სოციალური პარტნერის თვალში, კაპიტალისტის სახეს აზნაურის სახისაგან: კაპიტალისტის პრივილეგია არა მარტო მოძველებულია ისტორიული განვითარების შედეგად, როგორც აზნაურისაა, არამედ იმთავითვე უმართებულოა, სრულებით მოკლებულია რაიმე კავშირს მორალთან და ჰუმანიტარულ წარმოდგენებთან ოდნავ მაინც შეთავსებად საფუძველს. აქედან წარმოდგება საუკუნოვანი „წმინდა ომი“ კაპიტალიზმის წინააღმდეგ. მისი საკუთრივ აქსიოლოგიური ფსიქიკური ზამბარებია იდეა „თანასწორობა“ და მიზანი – „გაჭირვების დაძლევა“, რომელსაც (ამ გაჭირვებას კაპიტალიზმის საწყის ეტაპებზე) უკიდურესად ბარბაროსული და დაუნდობელი ექსპლუატაციის სახე აქვს. ამ დროისა და სახის რევოლუციების უმძლავრესი ფაქტორია ის ცოდნაც ან განცდაც, რომ პროლეტარიატი **ძალაა**, რომლის გარეშეც საზოგადოება ვერ იარსებებს და რომელსაც ზრდის განუსაზღვრელი პოტენციალი და უეჭველი პერსპექტივა აქვს.

თქმული ეხება სოციალ-დემოკრატიულ რევოლუციებს, რომლებიც გამარჯვებამდე ვერ მივიდნენ, მაშასადამე, წყობა ვერ განსაზღვრეს. სადაც მივიდნენ და განსაზღვრეს, იქ ამ გამარჯვების მთავარი ფაქტორი იყო ეროვნული ინ-

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

ტერესები (რუსეთი, ჩინეთი. სხვაგან ყველგან ეს გამარჯვება იმპორტირებული იყო და არის ამ ორი ქვეყნიდან) და შედეგი – რეალისტური სოციალიზმი, ანუ სახელმწიფო კაპიტალიზმი და პროლეტარიატის დიქტატურა უტოპიური „კომუნიზმის“ ნაცვლად. ამ სოციალიზმებში (სახელდობრ, მათ ბუნებრივ, არაიმპორტირებულ ვარიანტებში) წარმმართველი ძალაა მისწრაფება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი რევანშისკენ, რაც მოითხოვს ადამიანთა მიერ ხელის აღებას თავისუფლებაზე, პირად დაცულობაზე, მატერიალური „გასუქების“ ოცნებაზე და ა.შ.

მარქსისტულ სოციალიზმში ამას აქვს ფორმა ლოზუნგისა „დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს“, ხოლო ნაციონალ-სოციალიზმში – ლოზუნგისა „გავიმარჯვოთ პირველ მსოფლიო ომში ჩვენს უკანონო ხრიკებით დამმარცხებელ სახელმწიფოებზე“ და „მოვიპოვოთ სამართლიანად ჩვენი კუთვნილი საცხოვრებელი სივრცე!“

ამ ისტორიული ანალოგიებისა თუ პრეცედენტების ფონზე შეგვიძლია უფრო ფართო კონტექსტში შევხედოთ დღევანდელ ზეგანვითარებულ მსოფლიოს – ტრადიციულად ე.წ. “თავისუფალ მსოფლიოს” – ეკონომიკურ-სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის პერსპექტივას და მის მიმართ დავსვათ ზემოთ შეხებული ორივე მთავარი კითხვა. **პირველი.** არის თუ არ არის საზოგადოების, როგორც მთელის, თვალში ეს სტრუქტურა ა) სამართლიანი და ბ) რეალისტური? **მეორე.** არის თუ არ არის ეს სტრუქტურა საზოგადოებაში არსებულ ძალთა დღევანდელი პროპორციის შესაბამისი? ეს ნიშნავს: არის თუ არა ეს სტრუქტურა ახლო ან განჭვრეტად მომავალში ქვემოდან შეტევისა და იძულებითი გარდაქმნის ობიექტად გახდომის კანდიდატი? ბუნებრივია, ამ კითხვას ვაყენებთ უაღრესად რთული თანამედროვეობის მხოლოდ ერთი მხარის მიმართ – იმისა, რომელსაც მეტ-ნაკლებად ხატოვნად “პლუტოკრატიის” (ანუ ფულის დღევანდელი ძალისა და შესაბამისი იდეოლოგიის გაბატონებულობის) სახელით აღვნიშნავთ. ეს კითხვა, როგორც აზრის თემა, უკვე საკმაოდ ხნოვანია. მისი დღეს შეხების საბაბად შეგვიძლია დავასახელოთ “ქვემოდან” შემოტევის ახალი მიმართულების გაჩენა, დღესდღეობით მხოლოდ მინიშნების სახით.

ახალდამწყები “რევოლუციები”

მათი აქსიოლოგიური საფუძვლის ყველაზე უფრო ზედაპირული, ხილული მხარე ის არის, რომ მათს წარმმართველებსა და მონაწილეებს არსებული ვითარება მიაჩნიათ ***უსამართლოდ***: „დიდი ფინანსისტები და სხვა პლუტოკრატები უზომოდ მდიდრდებიან, დანარჩენნი ვღარიბდებით და მათ არ უნდათ თავისი შემოსავლების შემცირებით ჩვენი ტვირთი შეამსუბუქონ.“ შიგადაშიგ ადგილი აქვს სახელმწიფო სისტემისადმი ბრალდებების წამოყენებასაც, მაგ., „რატომ არ ზრდით, პროგრესიულად, დიდი შემოსავლის მქონეთა დაბეგვრას?“. ამ ხილული არგუმენტაციის უკან იგულისხმება, უნდა ვივარაუდოთ, ნაკლებ ხილულიც: ახალდასახულ პოტენციურ “რევოლუციონერს” არ მიაჩნია, რომ პლუტოკრატი, რომელსაც მასზე დიდი კეთილდღეობა აქვს, ამავე დროს მისთვის, როგორც თანამოქალაქისათვის, თანაადამიანისათვის, თანამედროვისათვის ***სასარგებლო*** ფუნქციას ასრულებს. თუმცა არსებობს ტრადიციული ფორმულირება „რაც კარგია „ჯენერალ მოტორსისათვის“, ის კარგია ამერიკისათვის“, ეს მოტივაცია, როგორც ჩანს, უკმარისად არის მიჩნეული (შესაძლოა, ამ მხრივ განსხვავებაც არსებობს ერთის მხრივ სამრეწველო და, საერთოდ, საწარმოო კაპიტალისადმი დამოკიდებულებასა და, მეორე მხრივ, საფინანსოსადმი დამოკიდებულებას შორის. ჩვენ, ჩვენი ქვეყნის მაცხოვრებლებს ეს დეტალი ვერ გვეცოდინება). ამგვარად, პროტესტის ადრესატად იგულისხმება კლასიკური პრინციპიც – „ფული ფულს შოულობს შრომის გარეშეც“ ან: „მეტს შოულობს, ვიდრე მის მიერ გაწეულ შრომას ეკუთვნის“ – იმ დამატებით (შესაძლოა), რომ იმ მომუშავე ფულის წყაროც ეჭვმიტანილია „არაფოტოგენური“ მეთოდების გამოყენებაში. შედეგი სახელმწიფოსაც სწვდება ლოგიკით – „რას უყურებს სახელმწიფო, რატომ არ ცვლის საგადასახადო სისტემას ან სხვა რამ საკანონმდებლო ზომას არ იღებს გასაჭირის (კრიზისის ტვირთის) მეტ-ნაკლებად გათანაბრების მიმართულებით?“. მაგრამ იმისათვის, რომ მიმდინარე პროცესის ეს სურათი მისაღები იყოს თუნდაც მხოლოდ ამ სიტუაციის ახსნის თვალსაზრისით (მით უმეტეს – მისი გამტყუვნების თვალსაზრისით), აუცილებელია შემდეგი წანამძღვრის არსებობაც: “რევოლუციონერს” უნდა ჰქონდეს იმის განცდა ან, სულაც, ექსპლიციტური დარწმუნებულობა, რომ მისი საზოგადოება და მისი სახელმწიფო ხსნებული პლუტოკრატების მხრებზე არ დგას, არამედ დგას საზოგადოების რომელიღაც სხვა მონაწილის (ან მონაწილეების) მხრებზე. ანუ: რომ **ძალა** არიან არა ეს პლუტოკრატები, არამედ სხვანი. ვინ უნდა ვივარაუდოთ (თუკი ეს ასეა) ნაგულისხმევად ამ „სხვაში“? ეს არის ***მერიტოკრატიული პროლეტარიატი*** ანუ საზოგადოების ყველაზე

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

კვალიფიციური და შრომის ყველაზე დიდი პოტენციალის მატარებელი მასა, რომლის შემოსავალია მისი შრომის გაქირავება ამ სიტყვის ფართო გაგებით (ტრადიციული ცნება „პროლეტარი“ ხომ ნიშნავს, რომ სათანადო პირი თავისი შრომის გაქირავებით ანუ ხელფასით ცხოვრობს და არა სხვა რამით. ამ მხრივ სახელმწიფოს პრეზიდენტი ან აკადემიის პრეზიდენტი ისეთივე პროლეტარია, როგორც ხელფასით მაცხოვრებელი ნებისმიერი მუშა, ინჟინერი ან ექიმი).

ცნება ***„მერიტოკრატია“*** ახალი შემოსულია პოლიტიკურსა და სოციოლოგიურ აზროვნებაში. იგი მოდის ლათინური ***„meritum“***-იდან (ღირსება; დამსახურება) და ნიშნავს „დამსახურების მიხედვით ძალაუფლებას“ იმ ნიუანსით, რომ „დამსახურებაში“ იგულისხმება არა ის, რა დავიმსახურე წარსულში (ამისათვის მე მეკუთვნის მხოლოდ პენსია, მაგრამ არა ადგილი და როლი საზოგადოებაში), არამედ ის, რას ვიმსახურებ, როგორც საზოგადოების ამ წუთში მოქმედი ელემენტი, ჩემი უნარითა და პოტენციალით. ის, რომ საზოგადოებაში ***ძალა*** ეს ადამიანები არიან და არა რამე ან ვინმე სხვა, კიდევ ერთხელ გამოვლინებაა და მაჩვენებელია (ნაკლებ ჩახედული კაცისათვის. ჩახედულმა ეს უკვე დიდი ხანია იცის), რომ ფული მხოლოდ პირობითი ნიშანია ძალისა (ამ შემთხვევაში – დოვლათისა) და არა თვით ძალა (ამ შემთხვევაში – დოვლათი). ადამიანთა ამ ფენამ, რომელიც მოცულობით დაახლოებით იგივეა, რაც საშუალო კლასი ამ სიტყვის ფართო გაგებით, ეს იცის და აქედან თავის დასკვნებსაც აკეთებს. სახელდობრ, იგი ასკვნის, რომ ამა თუ იმ გზით (მემკვიდრეობით, ერთხელ ჩატარებული წარმატებული კომერციული ოპერაციით, ათჯერ ჩატარებულით და ა.შ.) კაპიტალს არ ეკუთვნის და არც უნდა ჰქონდეს ის წონა და შესაძლებლობა საზოგადოების რეალური ცხოვრების მართვაში, რომელიც დღეს აქვს. ფულმა ამ შესაძლებლობის რაღაცა ნაწილი (ალბათ, გადამწყვეტი ნაწილი) უნდა დათმოს მერიტოკრატიის (ანუ ზემოხსენებული მერიტოკრატული პროლეტარიატის) სასარგებლოდ, რომელიც მას აღემატება, ჯამურად, ინტელექტუალური პოტენციალითაც, პროფესიული კვალიფიკაციითაც, მორალური სიმყარითაც, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ზოგად ინტერესებზე ზნეობრივი ბმულობის ხარისხითაც და ა.შ.. იმისათვის, რომ ამ ფენის მხრიდან ეს მოთხოვნა არსებობდეს (დაწყებული "რევოლუციებიდან" კი ჩანს, რომ იგი არსებობს), მიუცილებელი პირობაა (და წანამძღვარია) ის, რომ იგი (ეს მერიტოკრატული პროლეტარიატი) თავისთავში საქმის გაძღოლის მეტ უნარს ხედავდეს, ვიდრე პლუტოკრატიაში ხედავს. როგორც ეტყობა, ამ გარემოების (ამ განსხვავების პროპორციის) ხედვას ფართო საზოგადოების მიერ უკვე ფართო ხასიათი აქვს, რაც, თავის მხრივ, იმის მაჩვენებელია, რომ ეს სხვაობა უკვე საკმარისად მსხვილია, რათა ფართოდ ხილული გახდეს.

აღწერილი ვითარება ლოგიკურად აყენებს კითხვას, რომლის პასუხი მიმდინარე პროცესში პრაქტიკულად უკვე ჩანს: რა საშუალებებით და რა მეთოდით ფიქრობს და იმედოვნებს მერიტოკრატია, ანუ საზოგადოების ძალიან ფართო გონებრივი, სულიერი, ენერგეტიკული და პროფესიული ელიტა, რომ საზოგადოების მართვის ტვირთისა და პრივილეგიის ზემოხსენებული გადანაწილება მოახდინოს? პასუხი ზედაპირზე დევს: მხოლოდ სახელმწიფო კურსის სათანადო მობრუნების გზით და სახელმწიფოს გავლენისუნარიანობის (მართვაში მისი როლის) გაზრდის გზით. სხვა სიტყვებით: მერიტოკრატიამ უნდა მიაღწიოს და მერიტოკრატიას უნდა, რომ მიაღწიოს იმას, რომ **სახელმწიფომ რადიკალურად გაადიდოს თავისი როლი სახელმწიფოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების მართვაში**, ანუ, სხვა სიტყვებით, ეკონომიკურ პროცესებში დღესდღეობით გაბატონებული და იდეოლოგიურ დონეზე ლამის სანქცირებული ნება ფულის შოვნისა შეზღუდოს და საზოგადო საქმიანობის ეს სახე მისთვის მიჩენილ შედარებით მორიდებულ ადგილზე დააყენოს სახელმწიფო ნების, სხვა სიტყვებით – სახელმწიფო ნებაში განსახიერებული საზოგადოებრივი ნების, ე.წ. "ხალხის ნების" სასარგებლოდ. „ხალხის“ ამ „ნებაში“ რომ ძალას ხედავენ, ეს იმ გარეგნული ფაქტიდან ჩანს, რომელსაც ტელეეკრანზე ვხედავთ: უავტორიტეტულესსა და უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ ფორუმზე (დავოსში) გამოდის ერთ-ერთი მონაწილე და აცხადებს ფორუმის ზოგად განწყობილებას, რომ გადახედოს ამჟამინდელი კაპიტალიზმის მთელ რიგ მახასიათებლებს, რათა უფრო მორგებული გახადოს იგი საზოგადოების ზოგად ინტერესებთან. იგივე ტენდენცია ჩანს იმაში, რომ მაღალი რანგისა და ხარისხის ტექსტებში (მაგ.: The Economintისაში, სიტყვა "ლიბერალიზმი" (ანუ ხახელმწიფოს როლის შეზღუდვა) ლამის "ჩამორჩენილობის" სინონიმად ჟღერს. რაც შეეხება ამ ტენდენციის აღიარებას და ანგარიშგაწევას, იგი ადვილად შეგვიძლია ამოვიცნოთ მსოფლიოს ყველაზე მაღალხარისხოვანი და, რაც მთავარია, სახელმწიფო და მოქალაქეობრივი პასუხ-

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

ისმგებლობის ყველაზე მაღალი დონის მქონე ტელევიზიების პრაქტიკიდან. სახელდობრ, აშკარად ჩანს, რომ თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე ღრმად დემოკრატიული სახელმწიფო – ინგლისი – მზადაა ამჯერადაც, ჩვეული სახელმწიფოებრივი სიბრძნით, დღესაც ისე გადავიდეს რეალურად და იდეოლოგიურად საყოველთაოდ დამკვიდრებული პოლიტიკიდან, რომელიც სახელმწიფოს როლს ეკონომიკაში მხოლოდ ე.წ. „თამაშის წესთა დადგენაში“ ხედავს, ცოტა განსხვავებულ პოლიტიკაზე, სახელდობრ, სახელმწიფოებრივი ნების უფრო ფართოდ ამუშავების პოლიტიკაზე, რასაც პირობები მოითხოვს, და ამ დროული გადასვლით აიცილოს დანარჩენ მსოფლიოში მოსალოდნელი რაგინდარა რბილი „რევოლუციებისა“ და ქუჩური პროტესტების ტალღა.

დღევანდელი და მომავალი “რევოლუციების” შინაარსსა და სტრუქტურაში კიდევ ორი ორგანული შემადგენელი უნდა გამოვყოთ – ***პირველი***, რომელიც მასობრივ ადამიანს ისევე ეხება, როგორც გონებრივ ელიტაში შემავალს (ან უფრო მეტადაც კი), მეორე კი, რომელიც ნაკლებად ეხება არაბრძენს, ვიდრე ბრძენს, მაგრამ შეუძლებელია, ცოტა მაინც რომ არ ეხებოდეს არაბრძენსაც. პირველი ის გახლავთ, რომ თანამედროვე ადამიანს ბუნებაზე ადამიანის სრული გამარჯვების ცნობიერება თუ არა, განცდა მაინც აქვს. დღეს ადამიანს იმის სრული შთაბეჭდილება აქვს, რომ დედამიწის მიმართ ადამიანი უკვე სრული ბატონ-პატრონია. მის ამ ძალაში, ამ წარმოდგენით, შედის ისიც, რომ მას შეუძლია, თუკი მოისურვა, უპრობლემოდ შექმნას იმდენი საკვები და სხვა სახმარი საგნები, რომ კაცობრიობა გააძღოს და ყოველმხრივ დააკმაყოფილოს მატერიალურად. ამიტომ ადამიანი თავისი „უფროსობისაგან“ მოითხოვს, რომ იგი უკიდურეს შემთხვევაში, არჩინოს. თავის გაჭირვებას იგი მინუსად უთვლის „მთავრობას“ და ამ მინუსის გამოსწორებას მთავრობისაგან თავმდაბლად კი არ ითხოვს, როგორც საჩუქარს, არამედ მოითხოვს. ***მეორეა*** მიმართებებისა და პროცესების აქსიოლოგიური მხარე. ამ სფეროში კონფლიქტისა და ამოცანის შინაარსი შემდეგია:

ტრადიციულად მიჩნეულია და დამკვიდრებულია აზრი, რომ საზოგადოება ქველმოქმედების ან სოციალური ორგანიზაციის წესით ადამიანს უკმაყოფილებს, მისი დამსახურების გარეშეც, ე.წ. „ძლიერ“ ანუ სასიცოცხლო მოთხოვნილებებს (საჭმელი, სასმელი, უსაფრთხოება და ა.შ.), მაგრამ არ უკმაყოფილებს ისეთებს, რომლებიც ე.წ. „მაღალ“ ღირებულებათა რიცხვს ეკუთვნიან, მაგრამ არ ეკუთვნიან „ძლიერთა“ რიცხვს (განმარტებისათვის: „ძლიერი“ ღირებულება, როგორც ვთქვით, არის სასიცოცხლოდ საჭირო ღირებულება, „მაღალი“ – ადამიანის, როგორც გონიერი და თავისუფალი არსების, ბუნებისაგან განუყოფელი ღირებულება. რაც უფრო განუყოფელია იგი მისი ამ ბუნებისაგან, უფრო „მაღალია“ და პირიქით. „ძლიერი“ და „მაღალი“ არ არის ღირებულებათა ორი სხვადასხვა კლასი, არამედ მათი ორი სხვადასხვა განზომილებაა). კაცობრიობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ბუნებრივსა და შეუქცევად პროცესს შედეგად აქვს ის, რომ მაღალ ღირებულებებს უვითარდება და უძლიერდება სიძლიერის ანუ სასიცოცხლოობის ხარისხი: თუ პითეკანტროპისათვის მაღალი ღირებულებები ცოტა არსებობდა, ძლიერი კი იმდენი, რომ მათი რაოდენობა შედარებადი იყო ჩვენი დღევანდელი ძლიერი ღირებულებების რაოდენობასთან, ორასი წლის წინ ეს შეფარდება ცივილიზებულ საზოგადოებებში უკვე რადიკალურად შეცვლილი იყო და ასევე რადიკალურად შეცვლილია ორასი წლის წინანდელ სიტუაციასთან შედარებით დღეს. რომლებია დიდი ხნის ცნობილ მაღალ ღირებულებათა შორის, რომელნიც განვითარების შედეგად დღეისათვის ამავე დროს ძლიერ ღირებულებებად იქცნენ, ისეთები, რომლებიც დღეს ადამიანთა სოციალური და, მით უმეტეს პოლიტიკური მოქმედების მძლავრი ფაქტორებია? ზოგადად რომ ვთქვათ, ეს გახლავთ ***მართვის*** მოთხვნილება. თანამედროვე ადამიანს გაცნობიერებული აქვს საზოგადოების მართვის ფაქტიც და ამ მართვის მექანიზმებიც. ასევე, მას გაცნობიერებული აქვს ***ისტორიის*** მართვის ფაქტი და მისი მართვის მექანიზმებიც შეუდარებლად უფრო ინტენსიურად, ვიდრე მის მამას და, მით უმეტეს, მის პაპას ჰქონდა. ტრადიციული ადამიანი დედამიწას განიხილავდა როგორც ადამიანთა საკვებ ბაზას, რომელიც ამა თუ იმ წესით ნაწილდება ადამიანებსა, მათ მოდგმებსა და მათს სხვა სახის ჯგუფებს შორის, აგრეთვე როგორც სამოსახლოთა და თავდაცვის წერტილთა („სახლთა“) სიმრავლეს, რომელიც ასევე დანაწილებულია ადამიანთა შორის. ორივე – სახლიცა და საკვებიც – ადამიანისათვის აწ და მუდამ უძლიერეს ღირებულებათა რიცხვს ეკუთვნის. მაგრამ თანამედროვე ადამიანი დედამიწას განიხილავს, აგრეთვე, როგორც ***მართვის*** ასპარეზს, ანუ როგორც ადამიანთათვის მოსახმარსა და, ამდენად, საინტერესო ობიექტს, და ამავე დროს, როგორც იმ ობიექტს და იმ სამოქმედო სივრცეს, რომელსაც მე, ინდივიდმა, ის სახე უნდა

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

მივცე (შეძლებისდაგვარად), რომელიც მე მომწონს, მწადს და, ჯამურად, ანუ ყველა მთავარი თვალსაზრისისა და პარამეტრის შეჯერებით, უკეთესად მიმაჩნია. ადამიანს, „სახედ და ხატად ღვთისა“ შექმნილს, ანუ სამყაროს თანამმართველის ფუნქციის მატარებელს, თავისი ეს უფლება დიდად უღირს. ამგვარად, მისთვის ეს მაღალი ღირებულება, რომელსაც მისი პაპა თითქმის არ იცნობდა, ***ძლიერ*** ღირებულებადაა ჩამოყალიბებული და იგი მზადაა ამ ღირებულების არდათმობისათვის იბრძოლოს ისე, როგორც პაპამისი მზად იყო, თავისი მიწის ნაკვეთის სხვისთვის არდასათმობად ებრძოლა.

ამ კონცეფციის ყველაზე ზოგადი სახით გამოთქმა თუ გვინდა, იგი, ალბათ, ასე უნდა ჩამოვაყალიბოთ: თანამედროვე ადამიანი თავის სოციალურ მოთხოვნილებებს დაკმაყოფილებულად არ რაცხს და თავის მინიმალურ ადამიანურ უფლებებს – ე.წ. „უფლებადაცვითი“ მოძრაობის იდეოლოგიისა და პრაქტიკის ბრძოლის საგანს – დაცულად არ რაცხს, თუ მას პრინციპული და გარანტირებული საშუალება აქვს ხელთ თავისი პირადი დაცვისათვის ყველა სახის ხელყოფისაგან და საარსებოდ საჭირო საგანთა უკმარისობისაგან, მაგრამ არა აქვს მოპოვებული პრინციპში ყველა სხვათა თანასწორი უფლება მონაწილეობისა სიტუაციათა მართვაში პრინციპულად ზღვარდაუდებელ სივრცეში. ეს მისი მოთხოვნა და უფლება მდგომარეობს, ერთის მხრივ, მის პირად უნარმოსილებაში და უფლებამოსილებაში ადამიანთა იმ მაკროჯგუფის (არსებითად, ერის) მიმართ, რომელთანაც მას თავი გაიგივებული ჰყავს, და, მეორეს მხრივ, ამ მაკროჯგუფის უნარმოსილებაში სხვა ერებისა და, ზოგადად, მსოფლიოს („უსაზღვრო სივრცის“) მიმართ. ამ მიმართებებშიც ცენტრალური ცნებაა „სახელმწიფო“, რამდენადაც საშუალო სივრცეს მის უშუალო გარემოსა და „უსასრულო სამყაროს“ შორის, რომელსაც მისი, როგორც მმართველის, დაინტერესება მხოლოდ პრინციპულად ეხება, მაგრამ არა რეალურად, არის დედამიწის ზოგადი სიტუაცია, რომლის „თანამმართველად“ ადამიანი თავისთავს, ძირითადად, თავისი სახელმწიფოს მოქმედებაში მონაწილეობის სახით ხედავს და არა ინდივიდუალურად (მისი სახელმწიფოსთან დაუკავშირებელი აქტივობა ამ მხრით, პრაქტიკულად, დაიყვანება მის მონაწილეობაზე საერთაშორისო მოძრაობებში, როგორიცაა ეკოლოგიური მოძრაობები და სხვა).

ის, რომ ადამიანისთვის სამყაროს მართვაში პრინციპული მონაწილეობის უფლება ფიგურირებს, როგორც ერთ-ერთი ძლიერ ღირებულებათაგანი, თანამედროვე ადამიანის, პირველ ყოვლისა კი – მერიტოკრატიული პროლეტარიატის შემადგენლობაში შემავალი ადამიანის განუყრელი და კონსტიტუციური ანუ მის მენტალურ წყობაშივე შემავალი თვისებაა, რომელიც დღეს და განჭვრეტად მომავალში მისი სოციალური ქცევის, ამ რიცხვში აგრეთვე – მისი “რევოლუციური” ქცევის ერთ-ერთ ფუნდამენტურ განმსაზღვრელად ჩამოყალიბებულია და ასეთად რჩება.

საყურადრებოა შემდეგიც. სახელმწიფოს სტრუქტურული პრინციპი არის ის, რასაც რუსომ „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ უწოდა. ისტორიული ხდომილების მიმართ ეს გამოთქმა მხოლოდ მეტაფორაა (ადამიანები ისტორიაში არასოდეს დამსხდარან და ასეთი ხელშეკრულება, როგორც რუსო აღგვიწერს, არ დაუდიათ), მაგრამ მოქმედი სახელმწიფოს, როგორც ადამიანთა ცხოვრების ფორმის, მიმართ ეს მეტაფორა რეალისტურია: ადამიანები მართლაც იმიტომ ვცხოვრობთ სახელმწიფოდ, ანუ ჩვენი უფლება-მოვალეობათა დანაწილების სწორედ **ამ** ფორმით, რომ ეს ჩვენთვის ხელსაყრელია და ამის თაობაზე ისტორიულად შემუშავებული მდუმარე, თუნდ გაუცნობიერებელი თანხმობა არსებობს. მაგრამ სახელმწიფოს რაობა და ბუნება მხოლოდ ამ ჩვენს თანხმობაში არ მდგომარეობს: კონკრეტულ სახელმწიფოში შემავალი ადამიანები, შემთხვევათა უდიდეს უმრავლესობაში, ლოგიკურად,„ხელშეკრულებამდეც“ უფრო ახლოს ვართ ერთმანეთთან, ვიდრე სხვებთან, ჩვენ ერთმანეთს ვუყურებთ არა მხოლოდ როგორც ერთი და იმავე სისტემის ელემენტებს და პარტნიორებს, არამედ აგრეთვე, როგორც ჩვენთან რაღაცით იდენტურ, ანუ ***ერთსა და იმავე პირებს***. სხვა სიტყვებით: ჩვენ, ერთი ერის შვილნი, ჩვენს თავს ერთსა და იმავე ბუნებისმიერ კრებულად განვიცდით. არსებობს გამოთქმა „ფუტკრის მე არის მისი სკა“. ფუტკარი, თავისი ინსტინქტის დონეზე, თავისთავს განიხილავს, როგორც სკის ორგანოს, ამა თუ იმ ფუნქციით აღჭურვილს. ინტერესთა ცენტრი, სუბიექტი, ამ მიმართებაში არის სკა და არა ცალკე ფუტკარი. ეს მექანიზმი „ჯოგური ინსტიქტის“ სახელით მოქმედებს სხვა უფრო მაღალ ცოცხალ არსებებშიც. ადამიანთა კავშირი სახელმწიფოშიც ამგვარი ირაციონალური და ცნობიერებამდელი ურთიერთობის ელემენტს შეიცავს, რომლის ძალითაც სახელმწიფო ფუნქციონირებს არა მხოლოდ როგორც ხელშეკრულებით დაკავშირებულ სუბიექტთა სისტემა, არამედ როგორც ისეთ სუბიექტთა კომბინაცია, რომელთაც თავისი მე (ე.წ. „გაფართოე-

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

ბული მე“), როგორც ინტერესთა ცენტრი, კოლექტივში ჰყავთ და არა თავისთავში.[1] მაგრამ ეს ანალოგია ძალიან შორეულია და მას შეუმჩნეველი რჩება ამგვარი კავშირის სხვა ირაციონალური, არსებითი ელემენტები. ჯამში, რაციონალური და ირაციონალური ელემენტების კომბინირებას და ურთიერთმიმართებას ასეთი სქემის სახე აქვს: ადამიანებს, ურთიერთობის სხვა სახეთა შორის, გვაქვს ირაციონალური თანდაყოლილი ურთიერთბმის მრავალნაირი ფორმები. ასეთთა რიცხვს ეკუთვნის არა მხოლოდ შთამომავლობაზე და ჯიშზე ბმა, არამედ უფრო დიდ, ბუნებითვე დაკავშირებულ კოლექტივებზეც – ერზე, რასაზე, კაცობრიობაზე საერთოდ. ამ მიმართებაში, ერს, როგორც მაკროჯგუფს, ის უპირატესობა აქვს რასასთან, რომ იგი ***ბუნებისმიერი*** ერთობაცაა და ნებისეულიც, კულტურულიც, ისტორიის მომცველიც, ენობრივიც და, ყოველივე ამის შედეგად, მორალურიც. „კაცობრიობასთან“ კი მას ის უპირატესობა აქვს, რომ კაცობრიობის ბედს ჩვენს, ადამიანთა თვალში ჯერ არასოდეს დასდგომია სამკვდრო-სასიცოცხლო საფრთხე, რის გამოც მასთან ბმულობის განცდა ჩვენში, ჯერჯერობით, მხოლოდ პოტენციალურ მდგომარეობაშია, „თვლემს“. გენუინური ანუ უყალბო ბმის გამოვლენის ფორმაა ის, რომ მე მაქვს განცდა (იმედი, მოლოდინი), რომ სიკვდილის შემდეგ „ვიცოცხლებ ჩემებში“. ამ უკანასკნელთა შორის ვგულისხმობ ჩემს ერსაც. პრინციპულად ახალი, ცხოველთან შედარებით, აქ ის მომენტია, რომ ერი ასეთ შემთხვევაში მე მეხატება არა მხოლოდ როგორც ორგანიზმთა სიმრავლე, არამედ როგორც მსოფლიოს პოლიტიკური სისტემის, ისტორიის, სამყაროს მართვის ერთ-ერთი პრინციპულად თანასწორი მონაწილე. პირველი, „ცხოველური“ ფაქტორის სიძლიერე, როგორც ვთქვით, იმაშია, რომ იგი ბუნებისეულია, სიცოცხლისეულია და გარდუვალია. მეორისა კი იმაშია, რომ იგი ჩემი მაღალი და ვრცელი ჰორიზონტისა და ამბიციის ნაყოფია, მას წანამძღვრად აქვს ის, რომ მე, ჩემი გენუინური (უყალბო, ნამდვილი) დაინტერესების თვალით პოლიტიკურ კონტექსტს, ისტორიას, სამყაროს, ჩემი ერის კულტურულ სახეს და მის მიერ წარსულში შექმნილსა და მომავალში შექმნად ღირებულებებს ვჭვრეტ. ყოველივე ამას რომ ვერ ვჭვრეტდე, მაშინ ჩემი ბმულობა „ჩემიანებზე“ მთელი ჩემი ერის სახით იქნებოდა მხოლოდ ინსტინქტი, და არა შეგნებული პატრიოტული გრძნობა (ისევე, როგორც ისტორიულ ჭრილში პატრიოტიზმი, ლიტონი ეთნოცენტრიზმის ნაცვლად, ჩნდება მაშინ, როცა საზოგადოების ცნობიერებაში „კაცობრიობის“ (და არა მხოლოდ „აქეთა მეზობლის“ და „იქითა მეზობლის“) წარმოდგენა და ცნება შემოდის). ერი, როგორც ადამიანთა სტრუქტურირებული და ღირებული ერთობლიობა, ცნობიერებაში ჩნდება მაშინ, როცა მის ცნობიერებაში შემოდის „კაცობრიობის“ იდეა. ერის პარტნერი არის “კაცობრიობა“ და არა „მეზობელი ტომი“. ეს ფსიქოლოგიურად რთული სტრუქტურა გვიხსნის, თუ რატომაა, რომ ნაციონალიზმი უფრი გონიერ ადამიანთა ხვედრია, ვიდრე ნაკლებ გონიერთა, საზოგადოების „ნაციონალურად“ განწყობილი ნაწილი, ჩვეულებრივ, უფრო ინტელექტუალურია ხოლმე, ვიდრე „სოციალისტური“ ნიველირების იდეათა მიმდევარი ნაწილი. ჩვენი ეს მენტალური დაინტერესებაც, რომელიც ეროვნულ სულისკვეთებას შობს, თავის მხრივ მოიცავს „ინსტინქტურ“ უარგუმენტო მომენტს: ის, რომ მე სასრული, მაგრამ უსასრულობაზე გამიზნული გონიერი არსება ვარ, ჩემი ირაციონალური თვისებაა, ჩემი ერთ-ერთი გარდუვალი აპრიორია, ჩემი თანდაყოლილი თვისებაა. რობოტი ფუნქციობს ისე, რომ ეს თვისება არა აქვს და არც სჭირდება: მისი დაინტერესების არე და ჰორიზონტი მთავრდება იქ, სადაც მთავრდება მისი პროგრამით გათვალისწინებული კონკრეტული სამოქმედო ასპარეზი. ჩვენი ორივე ეს ინსტინქტი – ცხოველურიც და „ჰომოსაპიენსისეულიც“ – არსის, ანუ არსებულის, რეალობის ელემენტებია. “ჯერ- -არსის“, ანუ იმის, რაც უნდა იყოს, ელემენტი კი არის ის, რომ, რაკი ორივე ეს ინსტინქტი – ცხოველურიც და ჰომოსაპიენსისეულიც, ანუ ის, რომ ამ უსასრულო სამყაროში, პრინციპში არაფერი მეთმობა, ყველაფრის ხედვა და ყველაფრის მართვაში თანამონაწილეობა მინდა – ადამიანისათვის გარდუვალია, ორივეს დაკმაყოფილება ეკუთვნის (რადგან შეუვალი პრინციპ-

[1] ეს კონსტანტაცია ცინიზმად და ადამიანის შეურაცხყოფად ჟღერს, მაგრამ ცინიზმი არ არის. ჯერ ერთი, მისი ძალა და ღირებულება იმაშია, რომ იგი ფაქტს ასახავს. მეორეც, ადამიანის ადამიანობა იმაშია, რაც მას ფუტკრისთვის და, საზოგადოდ, სხვა ცოცხალი არსებებისათვის მიუწვდომელი აქვს, და არა იმაში, რომ მათთან საერთო არაფერი აქვს. მესამე, „თავისიანების“, ანუ თავისი მოდგმისა და ჯიშის გადარჩენის ინსტინქტი მრავალნაირად სუბლიმირებული აქვს, რეფლექტირებული, სხვა არსებებზე და ადამიანთა სხვა მაკროჯგუფებზე განზოგადებული, რასაც, სხვათა შორის, ამგვარ ჯგუფთა შორის სამართლიანობის ცნობიერებაც მოჰყვება ერთ-ერთ შედეგად. მეოთხეც, ეს „ჯოგურობა“ კოლექტივისათვის თავგანწირვისუნარიანობის აზრით ადამიანის მხოლოდ ერთ-ერთი ორიენტირია მისი ქცევისა სხვა მრავალთა შორის. მის ***გარეთ*** ადამიანი არის ინდივიდი და ***პიროვნება,*** რომელიც თავისი ცალკე სამყაროს ცენტრია და თავისი თავი, მრავალ სხვა რამესთან ერთად, სწორედ ამით უღირს. ადამიანისა და პიროვნების ამ მხარეთა შემეცნება ფილოსოფიური ანთროპოლოგიური ცოდნის ცალკე დარგია და აქ ადგილი არაა მის დეტალებში შესვლისა.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

ია, რომ ადამიანის ადამიანურ უფლებათა განსაზღვრა და კოდიფიცირება, როგორც ჰუმანისტური ამოცანა, სწორედ ამაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ ადამიანს – თუ ეს სხვებს არ ემუქრება – მისი ფუნდამენტალური მოთხოვნილების რეალიზაცია უფლებად დაუდგინოს). თქმულიდან გამომდინარეობს: უსასრულოდ მცირეა იმის ალბათობა, რომ ზემოხსენებული „მერიტოკრატიის“ ნება, რომელსაც გარდუვალად მოელის დედამიწაზე თავისი წონადი სიტყვის თქმა, სწორედ იმის გამო, რომ გონებით ძლიერთაგან და ნებით ძლიერთაგან შედგება, თავის ხილულ მომავალ მოწინააღმდეგესთან შედარებით, ანტიპატრიოტული, ეროვნულად ნიჰილისტურ ან ეროვნული მოტივებისადმი ბრმა, ყრუ ან სხვაგვარად გულგრილ პოზიციას დაადგეს. თავისი ამ პოზიციის დაცვა ამ ინტელექტუალურ ელიტას არ გაუჭირდება, რადგან ჯანსაღი ნაციონალიზმის პოზიციაზე მდგარი რიგითი ადამიანიც – და არა მხოლოდ ანალიტიკოსი და ფილოსოფიური რეფლექსიის მომხდენი, – ძალიან ადვილად მოიგერიებს ბრალდებას ეროვნულ მიკერძოებაში, ბოროტ „ნაციონალიზმში“ და „შოვინიზმშიც“ კი, რომლის ავტორები მას მოსთხოვენ იმ დედაბრის გულწრფელი რწმენით, რომელმაც იან ჰუსის კოცონზე ფიჩხის კონა მიიტანა, რომ ეროვნული გრძნობა, როგორც პოლიტიკის ერთ-ერთი მოტივი, ამოშანთოს, ვინაიდან მას ომებისკენ მივყავართ. ამ შენიშვნას „ნაციონალისტი“ პასუხობს: „ფუნდამენტურ ადამიანურს ვერც პოზიციას, ვერც ინსტინქტს და ვერც მოთხოვნილებას ვერ ამოშანთავთ, ვერ აკრძალავთ, ვერც ბოიკოტირებით მოერევით. მისი რეგულირება შესაძლებელია ერთადერთი მექანიზმით: უნდა განსაზღვროთ მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო მასალის (საკვების, სასმელის, წამლის, საცხოვრებლის და ა.შ.) სამართლიანი განაწილების პრინციპი და შეიმუშაოთ ამ პრინციპის განხორციელების კეთილგონივრული მექანიზმი. რამდენადაც სამართლიანი განაწილების, სულ ცოტა, სამი ძირითადი ურთიერთგანსხვავებული პრინციპი და კრიტერიუმია ცნობილი (ეს პრინციპებია: განაწილება თანასწორად, ძალის პროპორციულად და დამსახურების – მაგალითად, გაწეული შრომის პროპორციულად – მიხედვით), თქვენ არჩევანი გაგიჭირდებათ, მაგრამ ეს ამოცანა – ოპტიმალური კომპინაციის მონახვა – გადაუჭრელი არ არის. არსებითია მხოლოდ ერთი: პრინციპი გაცხადებული უნდა იყოს და ყველა პრეტენდენტმა იგი უნდა იცოდეს წინასწარ“. რეალურად: აუცილებელია ადამიანის ეროვნული უფლებების და, შესაბამისად, ერთა უფლებების (როგორც სახელმწიფოს მქონის, ისე – არმქონის) მეცნიერულ ბაზაზე დაყრდნობით განსაზღვრა და კოდიფიკაცია. საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას ამ მხრივ უკვე დიდი ნაბიჯები აქვს წადგმული. ინდივიდთა, ხალხთა და სახელმწიფოთა ეროვნული გრძნობების ინტენსივობისა და ინდივიდთა შესაბამისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების რესურსების გათვლა და ურთიერთშეჯერება შესაძლებელია. მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკის ქონა ამ საქმეში, რადა თქმა უნდა, უმჯობესია ასეთის არქონაზე. პერსპექტიული ჩანს ამ მიმართულებით წარმოებულ მეცნიერულ კვლევებში მეტ-ნაკლებად ობიექტური გაზომვაც, კითხვართა გამოყენებით, იმ ღირებულებების ***სიძლიერისა*** (მათი სასიცოცხლოობის ხარისხისა), რომელთა მიმართ სწრაფვაც განაპირობებს შესაბამისი ადამიანური მოთხოვნილების სიმძაფრეს (მაგალითად, ასე: „ვის უფრო ადრე დაემართება ინფარქტი – გეი-პარადის ინიციატორს, რომელსაც მერიამ უარი უთხრა დასტურის მიცემაზე, თუ ხნიერ პედაგოგს, რომელმაც ასეთი პარადის სახით თავისი ცხოვრების საქმის კატასტროფა დაინახა? რომელსამე ამათგანს თუ მშობელს, რომელსაც რომელიმე ბნელი სექტა, ქუჩაში პროზელიტიზმის ნებადართული და მიმზიდველი ფინანსური სახსრების მქონე, შვილს თავისი ცდუნების ანკესზე წამოაგებს?“ ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კითხვარები ამგვარი სტატისტიკური პროგნოზისათვის უხვ მასალას იძლევა).

უნდა დავასკვნათ: სახელმწიფო, რომლის გაძლიერებასაც საჭიროდ რაცხენ მერიტოკრატი “რევოლუციონერები”, გულისხმობს ეროვნულ სახელმწიფოს, ანუ სახელმწიფოს, რომელიც

- ცდილობს თავისი ერის მდგომარეობის წინ წაწევას სხვა ერების მდგომარეობასთან მიმართებაში;
- ცდილობს დაიცვას და წინ წასწიოს თავისი ერის არა მხოლოდ სადღეისო, არამედ ისტორიულმასშტაბიანი, სამარადისო ინტერესებიც;
- კეთილსინდისიერად ცდილობს და თავის ვალად მიაჩნია, შეასრულოს თავისი წილი შრომა და გაიღოს თავისი წილი ხარჯი კაცობრიობის ერთობლივ ამოცანათა გადაჭრაში.

ყველა დემოკრატიული, განვითარებული და ნაკლებად განვითარებული სახელმწიფო დღეს ამგვარია, ან ცდილობს, რომ ამგვარი იყოს. ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ არის ტრადიციული წარმოშობის სახელმწიფო, როგორებიც არიან მსოფლიოს სხვა წამყვანი დემოკრატიები, არაფერს აკლებს ამ ფორმულირების ზოგადობას. საქმე ის გახლავთ, რომ, ჯერ ერთი, ამერიკის პირველი თეორკანიანი ამთვისებელნი იყვნენ ევროპელები და „ახალ“ კონტინენტზე

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

მათ აუარებელი ევროპული მახასიათებლები მიიტანეს სულისკვეთების ჩათვლით. მეორეც და მთავარი, აშშ, როგორც სახელმწიფო, მოვიდა უკვე არსებულ სახელმწიფოთა მსოფლიო სისტემაში და ამ სისტემისმიერ იძულებაში (Systemzwang) მოყვა, რის გამოც იგი ჩამოყალიბდა მათებრ (მათი სულისკვეთებისა და სოციალური ჩვევების მქონე) სახელმწიფოდ და თავისი მოსახლეობა, როგორც მთელი, ერად აღიარა და არა მაკროჯგუფის რომელსამე სხვა ფორმად.

შევაჯამოთ: მერიტოკრატიული სულისკვეთება, რომელიც უტევს არსებულ ვითარებას და კვებავს კარს მომდგარი „რევოლუციური“ ნახევარსაუკუნის ან საუკუნის სოციალურ მოძრაობათა ძირითად ემოციურ მუხტს, შედგება, უხეში მიახლოებით, შემდეგი ძირითადი მოტივებისაგან:

პირველი: თვით მერიტოკრატიის ***თავდამკვიდრება***. მერიტოკრატია თავს რაცხს აღმატებულ ძალად, რომელიც მსოფლიოს მართვის პრაქტიკულად უალტერნატივო პრეტენდენტია: მისი სურვილიცაა და გარდუვალი პერსპექტივაცაა დედამიწაზე პასუხისმგებლობის ხელთ აღება. ამ ვითარების ლოგიკური პრაქტიკული შედეგია მკვეთრი აქცენტი განათლებაზე.

მეორე: პრინციპის „ფული შობს და შოულობს ფულს“ უნივერსალური ქმედითობა იმ სახით, რომლითაც იგი დღეს არსებობს, მიუღებელია მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების სიწმინდის პრინციპი ხელშეუხებელია (რადგან ეს ინსტიტუტი არის ერთადერთი ორგანიზაციული ფორმა, რომლითაც ადამიანს შეუძლია თავისი დღევანდელი შრომის და სხვა გარჯის ნაყოფი გადასცეს თავის შვილსა და შვილიშვილს სამარადისოდ). მაგრამ ხსენებული პრინციპის მოქმედების შეზღუდვა აუცილებელია შრომის სასარგებლოდ, მისი უმაღლესი ინტელექტუალური ფორმების ჩათვლით.

მესამე: ამ შეზღუდვათა განმსაზღვრავი და გამტარებელი პრაქტიკული სუბიექტი არის ***სახელმწიფო.*** სახელმწიფოს გარდუვალად მოელის მისი როლის თანდათანობითი რადიკალური გადიდება საზოგადოებისა და მასში მიმდინარე პროცესების მართვაში ფულის როლის ხარჯზე. ასევე, გადიდება მოელის სახელმწიფოს მართვაში ადამიანთა რეალური სადღეისო შრომითი და, საერთოდ მოქმედებითი პოტენციალის (***უნარის***, ამ სიტყვის ფართო აზრით) როლს.

მეოთხე: მერიტოკრატიის, როგორც ინტელექტუალური და პროფესიული ელიტის – ძალიან ფართო ელიტის, მაგრამ მაინც ელიტის – თვით ბუნებიდან გამომდინარე, ძალიან დიდი ალბათობით მოსალოდნელია, რომ მერიტოკრატიული კურსის ერთ-ერთი მახასიათებელი თვისება განჭვრეტადი მომავლისათვის იქნება სრული შემწყნარებლობა (უფრო მეტიც: პრინციპული გამგებიანობა და მხარდაჭერა) ნაციონალიზმის, როგორც ინდივიდის მორალური და პოლიტიკური სულისკვეთების ერთ-ერთი შემადგენლის და სახელმწიფოს პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენლის, მიმართ. სხვა სიტყვით, არ იქნება საყოველთაოდ სავალდებულო ფარისევლური პრაქტიკა მოქალაქეთა და პოლიტიკოსთა მიერ იმ თვალნათლივი ჭეშმარიტების მიჩქმალვისა, რომ ერის თვითგანცდა ისევე გულისხმობს სხვა ანალოგიური მაკროჯგუფების არსებობას, როგორც ფონს, როგორც ინდივიდისა გულისხმობს სხვა ინდივიდების არსებობას, რომლებთანაც იგი მუდმივი მშვიდობიანი „შეჯიბრის“ მდგომარეობაშია. ვერ დაიმალება და არ დაიმალება მერიტოკრატიული პოლიტიკის თვალში ვერც ის თვალნათლივი ჭეშმარიტება, რომ ერთა შორის მშვიდობა მიიღწევა მათ ურთიერთობათა მარეგულირებელი ***ნორმების*** შემუშავებითა და კოდიფიკაციით და არა ეროვნულ მისწრაფებებზე და ვნებათაღელვაზე თვალის ხუჭვით.

ადვილი შესამჩნევია, რომ ეს ოთხი პარამეტრი, **ეს** კორექტივი დღეს არსებულ პოლიტიკურსა და იდეოლოგიურ ამინდში სწორედ ის სფეროა, რომელშიც („ეკონომიკური გენოციდის“ დამატებით) დედამიწის ამა თუ იმ რეგიონში უცხო ხელით დასმულმა მარიონეტულმა „ხელისუფლებამ“, ლოგიკურად, უნდა გაშალოს თავისი ძირითადი დივერსიული მოქმედება ამ ქვეყნის, ერის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მომავლის დასანგრევად. ***პირველ ყოვლისა***, ეს არის თვით ლოკალური მერიტოკრატიისათვის განვითარების გზის გადაკეტვა, ანუ განათლების დიაპაზონისა და დონის დრამატული შეკვეცა და იმ ტენდენციის გაბატონება, რომ მოსახლეობა მოსწყდეს პროდუქტის შემქმნელ სამრეწველო შრომას და მომსახურების სფეროში გადაინაცვლოს. ანუ: ხელი შეეშალოს ამ ქვეყანაში ინტელექტუალური და პროფესიული ელიტის ქმნადობას. ***მეორე*** არის იდეოლოგიური კულტივაცია ცალმხრივად და დოგმატურად მონეტარისტული ორიენტაციისა ეკონომიკაში,რომლის პრინციპია: „ეკონომიკური საქმიანობის ერთადერთი და ამომწურავი მიზანია ფულის მოპოვება განურჩევლად იმისა, რითაა მოპოვებული – მაღალტექნოლოგიური მრეწველობით, პროსტიტუციით, წიწმატის ან ვარდის მონოპოლიით მსოფლიოში, რომელიც

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

ბაზაარს დაკარგავს პირველი ეკონომიკური სირთულის გაჩენისთანავე, თუ ტურისტთა მომსახურებით, თუნდაც მას ყველაზე კეთილშობლური ფორმა ჰქონდეს, როგორიცაა, ვთქვათ, კავკასიონის მწერვალებზე ამსვლელ ალპინისტთა გიდობა?". ***მესამე*** სახე ასეთი დივერსიისა არის პირდაპირი და მიზანმიმართული ბრძოლა საშინაო პოლიტიკაში სახელმწიფოს, როგორც მმართველი ორგანოს, მაქსიმალური დაუძლურებისათვის, მისი დაყვანისათვის მხოლოდ პროცესთა ყოველდღიური ადმინისტრირების როლზე. ***მეოთხე*** არის თვით სახელმწიფოს ფუნქციური დენაციონალიზება, ანუ მისთვის ეროვნულ ისტორიულმასშტაბიან ინტერესთა სამსახურის ამოცანის დემონსტრაციული წართმევა, პრაქტიკულად – სახელმწიფოს იდეოლოგიური გათანაბრება და გაიგივება შპსსთან, – პირთა ნებაყოფლობითსა და მარტოოდენ ხელშეკრულებაზე დამყარებულ გაერთიანებასთან, რომელსაც შეზღუდული ადმინისტრაციული და ეკონომიკური მიზნები აქვს და ამ მიზნებში არ ურევია ისეთი, რომელიც ითხოვდეს საჭიროების შემთხვევაში სიცოცხლის გაღებას, მაგრამ სანაცვლოდ ამ ინდივიდის ცხოვრებას ***აზრს*** ანიჭებდეს.

არჩევანს, ერთი მხრივ, დღეს ძალაში მყოფ (პირობითად) მონეტარისტულ იდეოლოგიასა და პოლიტიკას, მეორეს მხრივ ზემოდახასიათებულ მერიტოკრატიულ იდეოლოგიასა და პოლიტიკას შორის ვერ გაექცევა ვერც ერთი სახელმწიფო და ვერც ერთი ერი.

დასასრულ, ტერმინოლოგიური შენიშვნა გვამრთებს. ცნება "საბაზრო ეკონომიკა" რეალობისმიერი, ცდისმიერი ცნებაა. იგი ნიშნავს "ეკონომიკა, რომლის ძირითადი, თუმცა არა ერთადერთი განმსაზღვრელია ბაზრის სტიქიური კანონები." რა არის "ბაზარი", ესეც ყველამ პრაქტიკულად ვიცით. ცნება "თავისუფალი ეკონომიკა", ამისგან განსხვავებით, პრინციპში, აბსტრაქციაა (ისევე, როგროც პირწმინდა აბსტრაქციებია "წერტილი", "წრფე", "ჰიპერბოლა" და "ასიმპტოტა") იმ მომენტიდან მაინც, როცა დედამიწაზე ბუმის მდგომარეობაში მყოფმა ეკონომიკამ ახალი თავისუფალი კონტინენტების ძებნა დაიწყო ლაღად ფრთის გასაშლელად, მაგრამ ვეღარ იპოვა. მას შემდეგ ეკონომიკა არსებულის განაწილების უწყვეტად მოქმედი ამოცანის წინაშე დგას და, ასევე უწყვეტად, მასზე ზემოქმედებს ამ განაწილებაში მონაწილე სუბიექტთა ნების, ძალის, ნიჭის, ცოდნის, თვითორგანიზაციის უნარისა და, რაც მთავარია, ამ საჭირო თვისებებთან მიმართებით მათი ხარისხის ფაქტორი.

WHAT WILL REPLACE THE MERITOCRATIC?

NODAR NATADZE - Professor

There is ground for expecting that the next form of social dominance in civilized societies will be that of meritocracy ("meritocratic proletariat", i. e. the salaries-oriented and fees-oriented elite of personal qualities: intelligence, competence, will, influencing power, artistic and administrative talent and so on), not of plutocracy. The main factors are: (rising) superiority in real power, superiority in prestige and trustworthiness. Policies of "meritocratic" governance are, with high probability, likely to include

- priority of education and science
- dramatically raising the role of the state in regulating the real processes
- tending to develop know-hows and high-tec production, rather than following the purely "monetarist" policies
- viewing the state as based not merely on the "social contract", but on the a priori sense and consciousness of common identity of citizens as well.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com